



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ლაჭყეპიანი ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე

ლაჭყეპიანი ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე (7. VI. 1895, ქუთაისი, – 23. I. 1982, თბილისი), ეკონომისტ-აგრარიკოსი, ეკონ. მეცნ. დოქტორი (1960), პროფესორი (1961), საქართვე. მეცნ. დამს. მოღვაწე (1962). 1919 დაამთავრა მოსკ. სახალხო მეურნეობის ინ-ტის ეკონ. ფაკ-ტი. 1920–30 მუშაობდა საქართვე. და ამიერკავკ. „სოფლის კავშირის“ (კორპორაცია) სისტემაში. 1930-იდან ეწეოდა სამეცნ.- პედ. მოღვაწეობას საქართვე. სას.- სამ. ინ-ტში. 1932–37 იყო ინ-ტის დირექტორის მოადგილე, 1938–69 – სოფ. მეურნ. ეკონ.-ორგანიზაციის ფაკ-ტის დეკანი, 1961–79 კი – სტატისტ. და საბუხპალტრო აღრიცხვის კათედრის გამგე.

ლ-ის სამეცნ. ნაშრომები ეხება სოფლის მეურნეობის ეკონომიკის, სპეციალიზაციისა და სას.-სამ. სტატისტიკის საკითხებს. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

*თხზ.*: სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის პრაქტიკუმი, თბ., 1959; სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია და გაადგილება აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1960; ვარიაციის მაჩვენებლები. კორელაციური და დისპერსიული ანალიზის საფუძვლები, თბ., 1972.

---